სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 66

2019 წლის 4 ივნისი

ქ. თბილისი

ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" და „პ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N692281, 03.06.2019) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში ფონდი) ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის წესი ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
2. დამტკიცდეს ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობის განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის პროფესიული ბიოგრაფიის (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს განმცხადებლის სამოტივაციო წერილი დარგში ბოლო 5 წლის პერიოდში სამეცნიერო მიღწევების მითითებით ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
5. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
6. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია

შემსრულებელი:

ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

---------- /მარიამ იაშვილი/

შეთანხმებულია:

1. ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

   ---------- /ეკატერინე ბუთლიაშვილი/

2. საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

   ----------/მალხაზ ხოფერია/

3. გენერალური დირექტორის მოადგილე ----------/ჯაბა სამუშია/

დანართი 1
დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2019 წლის 4 ივნისის N66 ბრძანებით

ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის წესი

მუხლი 1.ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე წესი აწესრიგებს კონკურსში მონაწილე სუბიექტების მიერ მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) ფარგლებში სტიპენდიის გაცემის, კონკურსის გამართვისა და საკონკურსო განაცხადის (შემდგომში – საკონკურსო განაცხადი) განხორციელების მონიტორინგის წესს.

2. კონკურსის მიზანია მეცნიერების პოპულარიზაციისათვის ახალგაზრდა მეცნიერთა წახალისება, რომლებიც ეწევიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ან ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

3. კონკურსი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი). კონკურსის დაფინანსებისათვის შესაძლებელია, არსებობის შემთხვევაში, გამოყენებული იქნას დაფინანსების სხვა წყარო.

მუხლი 2 ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ფონდი** – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;

ბ) **გენერალური დირექტორი** – ფონდის გენერალური დირექტორი, რომლის ფუნქციებში შედის დასაფინანსებლად შერჩეული საკონკურსო განაცხადების დამტკიცება და, საჭიროების შემთხვევაში, საკონკურსო განაცხადებში ცვლილების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

გ) **საკონკურსო განაცხადი** - დაფინანსების მოპოვების მიზნით, ამ წესით განსაზღვრული პირობების მიხედვით ფონდში წარდგენილი საკონკურსო განაცხადი;

დ) **ახალგაზრდა მეცნიერი** დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარიხის მქონე პირი, ახალგაზრდა მკვლევარი, საქართველოს მოქალაქე, რომლის აკადემიური ხარისხის მინიჭების წლიდან კონკურსის გამოცხადების წლამდე, გასულია არაუმეტეს 7 წელი და ეწევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ან ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ე) **შეფასების კრიტერიუმები** – ფონდში წარდგენილი საკონკურსო განაცხადების შესაფასებლად საკონკურსო კომისიისთვის განსაზღვრული, ამ წესით დამტკიცებული სახელმძღვანელო პრინციპები სათანადო ქულების მითითებით;

ვ) **დამოუკიდებელი ექსპერტი** – პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში აფასებს კონკურსის ფარგლებში წარდგენილ საკონკურსო განაცხადებს;

ზ) **საკონკურსო კომისია** – კონკურსზე დარეგისტრირებული საკონკურსო განაცხადების შემფასებელი ორგანო, რომელიც განიხილავს და აფასებს კონკურსში შემოსულ საკონკურსო განაცხადებს, საკონკურო განაცხადების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად;

თ) **სტიპენდია** – ახალგაზრდა მეცნიერის მიერ კონკურსის შედეგად მოპოვებული ყოველთვიური ანაზღაურება.

ი) **საანგარიშო პერიოდი** – ხელშეკრულებით განსაზღვრული დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ახალგაზრდა მეცნიერი ახორციელებს სასტიპენდიო ხარჯვას და დასრულების შემდგომ წარუდგენს ფონდს პროგრამულ ანგარიშს;

კ) **სასტიპენდიო ანგარიში** – ანგარიში მოიცავს სასტიპენდიო განაცხადის დასრულების შემდგომ, ახალგაზრდა მეცნიერის (სტიპენდიანტი) მხრიდან ფონდში წარმოდგენილ პროგრამულ ანგარიშს;

ლ) **სასტიპენდიო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი** – ხელშეკრულებით შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმება.

მ) **მიზნობრივი ანგარიში** – საგრანტო ხელშეკრულებაში განსაზღვრული ახალგაზრდა მეცნიერის მიერ პროექტისათვის გახსნილი საბანკო ანგარიში, რომელზეც არ დაირიცხება სარგებელი და მოხდება ყოველთვიურად სტიპენდიის ჩარიცხვა;

ნ) **ტრანში** – სტიპენდიით განსაზღვრული ყოველთვიურად გადასარიცხი/გადარიცხული სახსრები;

მუხლი 3. სასტიპენდიო კონკურსის ადმინისტრირება

1. სტიპენდიის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ კონკურსის წესით. კონკურსს აცხადებს და ადმინისტრირებას უწევს ფონდი ამ წესითა და ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული პროცედურების მიხედვით.
2. ფონდი უზრუნველყოფს:

ა) საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენას; კონკურსის პროგრამისა და პირობების, საკონკურსო განაცხადის ფორმების, სასტიპენდიო დოკუმენტაციისა და სასტიპენდიო ანგარიშების შესრულების ფორმების შემუშავებასა და დამტკიცებას;

ბ) კონკურსის გამოცხადებას;

გ) კონკურსში რეგისტრირებული საკონკურსო განაცხადების ტექნიკურ ექსპერტიზას, რაც გულისხმობს წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადების დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენას კონკურსის პირობებთან;

დ) საკონკურსო განაცხადების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების უზრუნველყოფას;

ე) კომისიის მიერ საკონკურსო განაცხადების განხილვას შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად, მიღებულ შეფასებებზე დაყრდნობით რანჟირებული სიების დადგენას, გამარჯვებული საკონკურსო განაცხადების გამოვლენასა და დამტკიცებას.

ვ) ახალგაზრდა მეცნიერთან ხელშეკრულების გაფორმებას და დაფინანსებას;

ზ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მონიტორინგს.

მუხლი 5. კონკურსის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს საქართველოს მოქალაქე ახალგაზრდა მეცნიერს.
2. კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი ითვალისწინებს სახელობითი სტიპენდიების კატეგორიებს შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებში:

ა) **ნიკო კეცხოველის** სახელობის სტიპენდია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით;

ბ) **ალექსანდრე ქართველიშვილის** სახელობის სტიპენდია ინჟინერია და ტექნოლოგიების მეცნიერებების მიმართულებით;

გ) **ივანე ბერიტაშვილის** სახელობის სტიპენდია სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებების მიმართულებით;

დ) **დავით სარაჯიშვილის** სახელობის სტიპენდია აგრარული მეცნიერებების მიმართულებით;

ე) **დიმიტრი უზნაძის** სახელობის სტიპენდია სოციალური მეცნიერებების მიმართულებით;

ვ) **ივანე ჯავახიშვილის** სახელობის სტიპენდია ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით;

ზ) **ექვთიმე თაყაიშვილის** სახელობის სტიპენდია საქართველოს შესწავლელი მეცნიერებების მიმართულებით;

3. კონკურსში გამარჯვებულად გამოვლენილი ახალგაზრდა მეცნიერი მიიღებს ყოველთვიურ სტიპენდიას 1250 ლარის ოდენობით ერთი წლის განმავლობაში და იღებს ვალდებულებას 1 წლის განმავლობაში ჩაატაროს 4 სამეცნიერო პოპულარული ლექცია (2 თბილისის და 2 საქართველოს რეგიონებში) ზოგადსაგანმანათლებო საჯარო სკოლების პედაგოგებისთვის.

4. კონკურსში გამარჯვებული ახალგაზრდა მეცნიერი ასევე ვალდებულია სტიპენდიის დასრულებისას, სამეცნიერო -კვლევითი მიღწევების შესახებ საპოსტერო მოხსენებით წარდგეს ფონდის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე.

5. დადგენილი ვადის და ფორმის დარღვევით წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადები საკონკურსოდ არ განიხილება.

6. საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სტიპენდიას, ყოველთვიური ტრანშების სახით ფონდი რიცხავს ავანსად ახალგაზრდა მეცნიერის მიზნობრივ ანგარიშზე.

მუხლი 7 კონკურსში მონაწილეობისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება „ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი 2 - გენერირდება გრანტების მართვის ერთიანი სისტემის-GMUS-იდან) წარმოდგენილი უნდა იყოს ფონდის კანცელარიაში, დადასტურებული განმცხადებლის ხელმოწერით;
ბ) განმცხადებლის პროფესიული ბიოგრაფის (CVქართულ და ინგლისურ ენებზე) (დანართი 3) ივსება GMUS-ში „მეცნიერის პროფილის" რეგისტრაციის დროს.
გ) განმცხადებლის სამოტივაციო წერილი დარგში ბოლო 5 წლის პერიოდში სამეცნიერო მიღწევების მითითებით (დანართი 4) იტვირთება GMUS ში PDF ფაილის სახით;
დ) ახალგაზრდა მეცნიერის დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი; PDF ფაილის სახით.
ე) ცნობა სამუშაო ადგილიდან PDF ფაილის სახით.

მუხლი 8. კონკუსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსით მოთხოვნილი საკონკურსო დოკუმენტაცია იტვირთება GMUS -ში **2019 წლის 04 სექტემბრის 16:00 სთ-მდე.**

2. „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ ამობეჭდილი და ხელმოწერილი წარმოდგენილი უნდა იქნას ფონდის კანცელარიაში **2019 წლის - 06 სექტემბრის 16:00 სთ-მდე.**
3. ფონდი უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას საკონკურსო განაცხადები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.
4. ფონდი არ ანაზღაურებს საკონკურსო განაცხადების მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 9. საკონკურსო განაცხადების შეფასება

1. კონკურსზე დარეგისტრირებულ განაცხადებს აფასებს ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია.
2. საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება გენერალური დირექტორის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.
3. საკონკურსო კომისია საკონკურსო განაცხადებს აფასებს ამ წესით დადგენილი კრიტერიუმებზე დაყრდნობით. საკონკურსო განაცხადის დაფინანსების აუცლებელი პირობაა 20 მაქსიმალური ქულიდან 18 ან მეტი ქულის მიღება.
4. გენერალური დირექტორი ამტკიცებს საკონკურსო კომისიის მიერ გამოვლენილ გამარჯვებულ საკონკურსო განაცხადებს.

მუხლი 10. ინტერესთა კონფლიქტი

1. დაუშვებელია საკონკურსო კომისიის წევრი იყოს ამავე კონკურსის მონაწილე.
2. არ შეიძლება საკონკურსო განაცხადების შეფასების და დამტკიცების პროცესში მონაწილეობდეს საკონკურსო კომისიის წევრი:

ა) რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია საკონკურსო განაცხადის წარმდგენთან, ან მონაწილეობდა მასთან ერთსა და იმავე სამეცნიერო-კვლევით პროექტში, ან მუშაობს ერთსა და იმავე სტრუქტურულ ერთეულში (ფაკულტეტი, დეპარტამენტი);

ბ) რომელმაც შესაძლოა მიიღოს უშუალო პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი საკონკურსო განაცხადის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;

3. ამ დებულების მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

4. საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებებისა და თვითაცილების შესახებ.
5. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია საკონკურსო წევრის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ფონდისთვის ცნობილი გახდა დასაფინანსებლად შერჩეული საკონკურსო განაცხადების ფონდის მიერ დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია იმსჯელოს შესაბამისი საკონკურსო კომისიის წევრის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმებასთან დაკავშირებით.

მუხლი 11. ხელშეკრულება

გამარჯვებულების დამტკიცების შემდეგ, ფონდი უზრუნველყოფს ახალგაზრდა მეცნიერთან ხელშეკრულებების გაფორმებას, რომელშიც დეტალურად გაიწერება ურთიერთვალდებულებათა პირობები.

მუხლი 12. შესრულების მონიტორინგი

1. დაფინანსებული ახალგაზრდა მეცნიერი ვალდებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად, ფონდს წარუდგინოს პროგრამული აქტივობების ანგარიში.
2. ფონდი ახორციელებს დაფინანსებული საკონკურსო განაცხადების სასტიპენდიო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს, რომლის დროსაც განიხილავს სტიპენდიანტის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და ადგენს შესაბამის განხილვის აქტს.
3. მონიტორინგი მოიცავს პროგრამულ მონიტორინგს.

პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს სასტიპენდიო ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას. ფონდი უფლებამოსილია პროგრამული მონიტორინგის ფარგლებში განახორციელოს ადგილზე ვიზიტები, სასტიპენდიო ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურების მიხედვით.

4. სტიპენდიანტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების შემოწმების საფუძველზე მომზადებული განხილვის აქტები ფონდის მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სტიპენდიანტის მიერ მომავალ სასტიპენდიო კონკურსებში მონაწილეობისას წარდგენილი საკონკურსო განაცხადების შეფასებისას.

მუხლი 13 პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

ფონდი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეწყვეტს სტიპენდიის გაცემას (შესაბამისად, შეწყდება პროექტი), თუ:

ახალგაზრდა მეცნიერმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ან/და ანგარიშში წარადგინა ყალბი ინფორმაცია.

მუხლი 14. დამატებითი მოთხოვნები ახალგაზრდა მეცნიერთა მიმართ

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარადგინონ Power point-ში მომზადებული საჯარო ლექციების მეცადინეობების ვიზუალიზაცია, რომელიც განთავსდება ფონდის ვებგვერდზე და გავრცელდება სოციალური მედიის საშუალებით.
2. საჯარო ლექციების ფარგლებში შექმნილი ვიზუალურ პროდუქცია **(ფოტო, აუდიო, ვიდეო მასალები, პრეზენტაციები, ბუკლეტები, ფლაერები და ან სხვა ტიპის მასალები) განთავსდება ფონდის ვებგვერდზე და გავრცელდება სოციალური მედიის საშუალებით.youtube -ით.**

მუხლი 15. საკონკურსო განაცხადების შეფასების კრიტერიუმები

კონკურსის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

N	კრიტერიუმი	1 სუსტი	2 საშუალო	3 კარგი	4 ძალიან კარგი	5 ბრწყინვალე	საბოლოო შეფასება/ქულა / კომენტარი
1.	განმცხადებლის პუბლიკაციები (საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში) ბოლო 5 წლის განმავლობაში						5
2	სამეცნიერო კონფერენციებში, ფორუმებში და სამეცნიერო-კვლევით						5

	საგრანტო პროექტებში მონაწილეობა						
3	საერთაშორისო და ადგილობრივი პატენტი და სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლება						5
4	საერთაშორისო /ეროვნული ნომინაციები, ჯილდოები, პრიზები, სტიპენდიები						5
ჯამი:							

საკონკურსო განაცხადის დაფინანსების აუცლებელი პირობაა 20 მაქსიმალური ქულიდან 18 ან მეტი ქულის მიღება.

თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ საკონკურსო განაცხადებს, რომლებიც მეტ ქულას დააგროვებენ პირველ კრიტერიუმში.

სარეგისტრაციო შიფრი
YSS-19-

დანართი2

დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2019 წლის 4 ივნისის N66 ბრძანებით

გენერირდება GMUS-ით

„ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად“

კონკურსში მონაწილეობის განცხადება

წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო განაცხადის შესახებ, ვადასტურებ, რომ გავეცანი სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 4 ივნისის N 66 ბრძანებით დამტკიცებულ კონკურსის წესს და ხელმოწერით ვაცხადებ თანხმობას, მონაწილეობა მივიღო კონკურსში ზემოთ ხსენებული დოკუმენტებით დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით.

ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) რეგისტრირებული საკონკურო განაცხადისთვის წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ახალგაზრდა მეცნიერი ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი არ შეიცავს პლაგიატის ელემენტებს.

ვეთანხმები, რომ ფონდი უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე გადაამოწმოს საკონკურსო განაცხადის შესაბამისობა კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან. წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში, მოხსნას წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი კონკურსიდან.

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი საკონკურსო განაცხადი „ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად“ 2019 წლის კონკურსში მონააწილეობის მისაღებად.

სტიპენდიის კატეგორია

ნიკო კეცხოველის სახელობის სტიპენდია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით
ალექსანდრე ქართველიშვილის სახელობის სტიპენდია ინჟინერია და ტექნოლოგიების მეცნიერებების მიმართულებით
ივანე ბერიტაშვილის სახელობის სტიპენდია მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებების მიმართულებით
დავით სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდია აგრარული მეცნიერებების მიმართულებით
დიმიტრი უზნაძის სახელობის სტიპენდია სოციალური მეცნიერებების მიმართულებით
ივანე ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდია ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სტიპენდია საქართველოს შესწავლელი მეცნიერებების მიმართულებით

კონკურსანტის სახელი, გვარი და ხელმოწერა

სახელი გვარი

ტელეფონი

ელ.ფოსტის მისამართი

ხელმოწერა

პირადი ინფორმაცია

პირადი ნომერი:

სრული სახელი:

სქესი:

დაბადების თარიღი:

მოქალაქეობა:

საკონტაქტო ინფორმაცია

ელ.ფოსტა:

მობილურის ნომერი:

ქვეყანა:

ქალაქი:

მისამართი:

ენები

ენა	წერა	კითხვა	მეტყველება

განათლება

უმაღლესი აკადემიური ხარისხი/სტატუსი

აკადემიური ხარისხი/სტატუსი:

მინიჭების თარიღი:

მიღებული განათლება

აკადემიური ხარისხი/ სტატუსი	დაწესებულების დასახელება	ქვეყანა	სპეციალობა	დაწყების წელი	დასრულების წელი

ტრენინგები/სემინარები/სასწავლო კურსები

ორგანიზაციის დასახელება	ტრენინგის / სემინარის / სასწავლო კურსის თემა	დაწყების წელი	დასრულების წელი

პროექტები

მიმდინარე პროექტები

პროექტის დასახელება	პოზიცია	პროექტის ხელმძღვანელი	დაწყების თარიღი	დონორი

დასრულებული პროექტები

პროექტის დასახელება	პოზიცია	პროექტის ხელმძღვანელი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	დონორი

სამეცნიერო მიმართულებები

ძირითადი მიმართულებები

მიმართულება:

ქვე-მიმართულება:

კატეგორია:

დასაქმების ისტორია

მიმდინარე სამუშაო ადგილ(ებ)ი

სამუშაო ადგილი	სტრუქტურული ერთეულის დასახელება	თანამდებობა	მოვალეობები	დაწყების თარიღი

სამეცნიერო პროდუქტიულობა

პატენტები

დასახელება	გამცემი ორგანიზაცია	სარეგისტრაციო ნომერი	გაცემის წელი

სხვა პროდუქტები

პროდუქტის ტიპი	სარეგისტრაციო ნომერი	გაცემის წელი

სტატია / მონოგრაფია / სახელმძღვანელო

ტიპი	ავტორ(ებ)ი	სათაური	ჟურნალი	წელი

სტიპენდიები და ჯილდოები

სტიპენდიის/ჯილდოს დასახელება	გამცემი	მიღების წელი

სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

სამეცნიერო ფორუმის დასახელება	მოხსენების სათაური	ჩატარების ადგილი	წელი

პროდუქტიულობის მაჩვენებელი

#	ციტირების ინდექსი	h-ინდექსი
Google Scholar		
Web-of-Science		
Scopus		

Personal information

ID Number:

Full name:

Gender:

Date of birth:

Citizenship:

Contact Details

Email address:

Call number:

Country:

City:

Address:.

Languages

Language	Writing	Reading	Speaking

Education

Academic degree

Academic Degree:

Year obtained:

Education

Academic Degree	Name of the Institution	Country	Major discipline	Start year	End year

Trainings / Seminars / Training courses

Training / Seminar / The theme of the course	Organization name	Start year	End year

Projects

Ongoing projects

Project title	Position	Project head	Start Date	Donor

Completed projects

Project title	Position	Project head	Start Date	End Date	Donor

Scientific Fields

Main Field

Field:

Sub-Field:

Subject area:

Employment History

Current place(s) of employment

Workplace	Name of the work department	Position	Main responsibilities	Start Date

Scientific Productivity

Patents

Patent name	Issuing organization	Registration number	Year of Issue

Other products

Product Type	Registration number	Year of Issue

Article / Monograph / Manual

Type	Authors	Publication title	Source title	Year

Scholarships and awards

Scholarships/awards name	Issuer	Year of Issue

Participation in scientific events

Scientific event name	Title of the presentation	Event venue	Year

Productivity index

#	Citation index	h-index
Google Scholar		
Web-of-Science		
Scopus		

დანართი 4

დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2019 წლის 4 ივნისის N66 ბრძანებით

განმცხადებლის სამოტივაციო წერილი დარგში ბოლო 5 წლის პერიოდში სამეცნიერო მიღწევების მითითებით

(არაუმეტეს 500 სიტყვისა)